საკანონმდებლო სიახლეები

მარტი - მაისი, 2022

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996
გვერდი 1-2

ცვლილებები შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებით

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №999
გვერდი 2

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აზდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: მარჯანიშვილის ქ N6, მწვანე შენობა, 0102, თბილისი, საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 2022 წლის 15 მარტის ცვლილებით 112-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 51-ე პუნქტი:

„2022 წლის 1 მაისამდე დასაშვებია, თამბაქოს ნაწარმის მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება განხორციელდეს ამ ინსტრუქციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტისგან განსხვავებული წესით, პოლიეთილენის საფარველის გარედან. აღნიშნულ შემთხვევაში, თამბაქოს ნაწარმის მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება საქართველოს საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე.“ ამავე თარიღში შესული ცვლილებით „უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი“ ჩანაცვლდა ტერმინით „საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი“.

ამასთან, ამავე ცვლილებით დაზუსტდა საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისთვის შემოსავლების სამსახურისათვის წარსადგენი განცხადების ფორმები და სხვა ტექნიკური საკითხები. აღნიშნული ცვლილებით მე-6 მუხლი დამატებით განივრცო, რომლის თანახმად, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ნიშნავს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის, სახელწოდების ან/და გვარის, სამართლებრივი ფორმის ან/და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის შეცვლას.

აგრეთვე, გაერთიანების, ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის შემთხვევაში (გარდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამხანაგობისა), სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ასევე მოიცავს ამხანაგობის, გაერთიანების ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის მონაწილე პირების (წევრების) შესახებ მონაცემების შეცვლას.

ამავე მუხლს მე-11-16 პუნქტების სახით დაემატა დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინონ საქართველოს მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებმა სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით;

- 2022 წლის 28 მარტის ცვლილებით აღნიშნული ბრძანების 27-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 27 პრიმა 1 მუხლი. ცალკეული საქონლის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვა, რომლის თანახმად:

1. შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის ან/და ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს შესაბამისი საქონლის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვის ფორმა და წესი.

MOORE

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულება გადასახადის გადამხდელს არ ანთავისუფლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან.

- 2022 წლის 30 მარტი ცვლილებით ბრძანების გარდამავალ დებულებებს, კერძოდ, 112-ე მუხლს დაემატა 52-54-ე პუნქტები, რომლებიც შეეხება თამბაქოს ნაწარმს.

შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №7545 2021 წლის 25 მარტი. „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“

- 2022 წლის 25 მარტით აღნიშნულ ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის სავალდებულო წესით გადაყვანა აღარ ხდება, თუ მისი აუღიარებელი საგადასახადო დავალიანება შეადგენს ან აღემატება 50 000 ლარს.

  აღნიშნული ცვლილებით გადასახადის გადამხდელს უნდა ჰქონდეს აღიარებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც შეადგენს ან აღემატება 50 000 ალრს, იმისთვის, რომ იგი გადაყვანილ იქნეს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე. ამასთანავე, აღნიშნული ცვლილებით აღარ ხდება გადასახადის გადამხდელის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში ავტომატურად მისი ერთი წლით საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანა.

- გამოიცა შემდეგი ახალი სიტუაციური სახელმძღვანელოდები:

1. საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს შეღავათი ქონების გადასახადში N 1429.

2. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის შეღავათი საშემოსავლო გადასახადში N 1516.

3. შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 25 მარტის N 7547 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მიითითება „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე“ ., რომელიც შეიცავს ინფორმაციას ვირტუალური ზონის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ასევე ვირტუალური ზონის პირის სტატუსით საქმიანობის წესის შესახებ, მათ შორის მისი საგადასახადო ვალდებულებებისა და უფლებების თაობაზე.

4. საპენსიო შენატანის შეღავათი საშემოსავლო გადასახადში N 1515.

5. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების გადაანგარიშება N 2546.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის და საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის გამოყენების შესახებ“

აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა:

- „საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით, 167-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციებისაგან ამავე კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები“, დანართი №1-ის სახით;

- „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274-ე და 282-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები“, დანართი №2-ის სახით.

აღნიშნული ბრძანებით, გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში, მომსახურების დეპარტამენტი უფლებამოსილია პირი გაათავისუფლოს საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან.

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №999

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №999, რომელიც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- დამტკიცებულ „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ“ ინსტრუქციაში (დანართი №4) შეტანილ იქნა ცვლილებები, კერძოდ, ცვლილება შევიდა განცხადებების ფორმაში დღგ-ს ახალი კარის შესაბამისი მუხლების შესაბამისად.

MOORE

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის **"Moore Global Network Limited "**- ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

>114	>260	>579	>30,809
ქვეყანაში	წევრი	ოფისი	თანამშრომელი

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ჩვენი სერვისები



www.moore-georgia.ge

MOORE

We believe the information contained herein to be correct at the time of going to press, but we cannot accept any responsibility for any loss occasioned to any person because of action or refraining from action as a result of any item herein. Printed and published by © Moore Global International Limited. Moore Global International Limited, a company incorporated in accordance with the laws of England, provides no audit or other professional services to clients. Such services are provided solely by member and correspondent firms of Moore Global International Limited in their respective geographic areas. Moore Global International Limited and its member firms are legally distinct and separate entities. They are not and nothing shall be construed to place these entities in the relationship of parents, subsidiaries, partners, joint ventures, or agents. No member firm of Moore Global International Limited has any authority (actual, apparent, implied, or otherwise) to obligate or bind Moore Global International Limited or any other Moore Global International Limited member or correspondent firm in any manner whatsoever.